

ლარისა დოლიკაშვილი
პოპა არაბული



დურიგმის საფუძვლები

სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის
(მეორე ნაწილი - ტესტები და პრაქტიკული დავალებები)

სახელმძღვანელო მომზადებულია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ მხარდაჭერით

თბილისი
2021 წელი

რჩევები და რეკომენდაციები

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით

ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო, ტურიზმის საფუძვლების მეორე ნაწილში მოცემულია სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის კითხვები, რომელთა დახმარებით თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლად გაიმეოროთ თეორიულ ნაწილში შესწავლილი, სკოლაში და დამოუკიდებლად გაცნობილი მასალა, რომელიც აუცილებლად დაგჭირდებათ და გამოგადგებათ იმისათვის, რომ მიაღწიოთ დასახულ მიზანს - სწორი, კვალიფიციური საფუძველი ჩაუყაროთ თქვენს პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესს.

წინამდებარე წიგნის სტრუქტურა შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

1. თეორიული სახელმძღვანელოს ყოველი თავის ანალოგიურად (სასწავლო პროგრამის შესაბამისად, შესაძლებელია თავი გაიყოს რამოდენიმე ნაწილად) დალაგებულია კითხვების, ტესტებისა და სიტუაციური ამოცანების ბლოკი, რომლებიც შინაარსობრივად ძირითადად შესაბამისობაშია სასწავლო მასალასთან;
2. წიგნში მოცემული კითხვები სხვადასხვა სახისაა და, შესაბამისად, სხვადასხვა მისია აკისრიათ:
 - ✚ პირველი - **განვლილი მასალის გამეორება** - დასახელებიდანვე ჩანს, რომ სილაბუსის შესაბამისად განვლილი თემის ქვეშ მოქცეული ინფორმაციის გამეორებასთან არის დაკავშირებული; აქ ამოცანა მარტივია - უნდა ყურადღება მიაქციოთ გაცნობილ მასალაში ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს;
 - ✚ შემდეგი 2 კითხვა თქვენი სასკოლო მასალიდან იმ საგნებს (საქართველოს ისტორია და გეოგრაფია) ეხება, რომელთა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ტურიზმში მნელია თქვენი ადგილი იპოვოთ; შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით შესწავლილი მასალის გამეორება-გაცოცხლება აუცილებელია;
 - ✚ შემდეგი 3 კითხვა უშუალოდ ჩვენს სასწავლო პროცესთან და ჩვენი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილთან არის დაკავშირებული - მათში მოცემულია ისეთი ტიპისა და შინაარსის კითხვები, რომლებიც შუალედურ და საბოლოო გამოცდების ბილეთებშია ასახული;
 - ✚ კითხვების ბოლო კომბინაცია თქვენი ზოგადი ინტელექტის გამოცდასა და გახალისებას ეხება - ივარჯიშეთ და ყოველი წარმატების შემდეგ კარგ ხასიათზე იქნებით.

გისურვებთ წარმატებებს!

რეკომენდაცია კოლეგებს, ვისაც შეიძლება ამ წიგნის გამოყენება დასჭირდეს:

1. როგორც კარგად მოგეხსენებათ სტუდენტების შეფასების სისტემა ზოგადად მოცემულია საგნის სილაბუსში (მაგ.: ზოგადად 3 ქულა აქტივობისათვის 14 კვირის განმავლობაში). ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ რეგულარული შეფასება, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს იგი, სავსებით კონკრეტული მოტივაციური ასპექტია და ჩვენც, ყოველკვირეულად, ყოველი ლექციისა და პრაქტიკული საათების შემდეგ, ვდგევართ ერთი და იგივე კითხვის წინაშე - რამდენი ქულა დავწეროთ, რომ ის ადექვატური იყოს სტუდენტის რეალური აქტივობის და ამასთან სასწავლო-საგანმანათლებლო ფუნქციაც შეასრულოს.
2. სახელმძღვანელოების ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ საგანში სტუდენტის უბრალო დასწრება ლექციაზე ან პრაქტიკულზე, რამდენი ხანიც არ უნდა იყოს - არანაირად არ შევავსათ!
3. ჩვენი აზრით შეფასებას დაქვემდებარებული კომპონენტებია საგამოცდო ტესტისა და ღია კითხვების ვარიანტები და სიტუაციური ამოცანები. რამდენადაც სტუდენტებმა იციან (თქვენი დახმარებით) თითოეული საგამოცდო ვერსია საგამოცდო ბილეთში როგორ ფასდება (სილაბუსის ადექვატურად), თქვენ შეგიძლიათ, ყოველი თავის შემდეგ, წინამდებარე წიგნში მოცემულ პოზიციებს (ტესტი, ღია კითხვები, სიტუაციური ამოცანები) ისე გადაუნაწილოთ ქულები, როგორც თქვენ აფასებთ ამა თუ იმ პოზიციას, ისე, რომ საერთო ჯამი დღიური აქტივობისა (საშინაო დავალებას + სააუდიტორიო აქტივობა) არ იყოს შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრულ (მაგ.: 3) ქულაზე მეტი.

და ალბათ რაც ყველაზე მთავარია: ყველაფერი ის, რასაც ჩვენ მოვუყარეთ თავი და ქვემოთ, სხვადასხვა ტიპის კითხვების სახით ჩამოვყალიბეთ, თავის თავად ცხადია, არანაირ პრეტენზიას არ აცხადებს რაიმე სახის სრულყოფილებაზე - ეს ალბათ ზოგადად შეუძლებელია. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ თვით სილაბუსებში მოცემულ განსხვავებებს, ნათელია, რომ ეს მასალა ყველასათვის მისაღები შეიძლება არც აღმოჩნდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა მოგმართოთ ყველას, ვისაც მოგიხდებათ ამ სახელმძღვანელოსთან შეხება (ორივე ნაწილი), გულწრფელად მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები, თუნდაც მაქსიმალურად ნეგატიური. ჩვენ მათ დიდი ყურადღებით გავეცნობით და შევეცდებით გავითვალისწინოთ მასალის შემდგომი დახვეწის პროცესში.

წინასწარ დიდი მადლობა ყველას!

ტურიზმის საფუძვლები

ნაწილი პირველი - შესავალი გლობალურ ტურიზმში

- შესავალი - კეთილი მგზავრობა!
- რატომ მოგზაურობს ხალხი?
- მოგზაურობის მოტივაცია
- რატომ ისვენებს ადამიანი - როგორ გაჩნდა მოთხოვნილება ტურიზმზე?
- რაზეა დამოკიდებული საზოგადოების ცივილიზებულიობის ხარისხი?

ნაწილი პირველი - თავი პირველი - ტურიზმი თანამედროვე სამყაროში - მისი მრავალსახეობა

- ტურიზმი - როგორც ეკონომიკური საქმიანობა
- ტურიზმის წინააღმდეგობრივი ბუნება
- ტურიზმი როგორც ეკონომიკის დარგი
- ტურიზმი - როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობა
- ტურიზმი - როგორც ერთიანი მსოფლიო ბაზარი
- ტურიზმი - როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა

იმედია გახსოვს, ასე იწყება ჩვენი სახელმძღვანელოს თეორიული ნაწილი. მაშ მოდით, შევამოწმოთ, რამდენად გაეცანით განვლილ მასალას და თუ გაეცანით, რამდენად დარჩა მეხსიერებაში ის, რაზეც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ავაშენოთ ჩვენი ცოდნა სპეციალობაში.

პირველი დავალება: კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. რატომ მოგზაურობს ხალხი? რა იყო და არის ამის მიზეზი?
2. რატომ ისვენებს ადამიანი - როგორ გაჩნდა მოთხოვნილება ტურიზმზე?
3. რომელ საუკუნეში წარმოიშვა სიტყვა „ტურიზმი“?
4. განმარტეთ რას ნიშნავს გამოთქმა: „ტურიზმი - ეს არის დარგთაშორისი კომპლექსი“.
5. როგორ ახსნიდით გამოთქმას: „ტურიზმი, ეს არის რთული სოციალური მოვლენა“.
6. განმარტეთ რას ნიშნავს გამოთქმა: „ტურიზმი - მრავალდარგოვანი საწარმოო კომპლექსი (კლასტერი)“
7. რა არის ტურიზმი? (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)
8. რა იგულისხმება ტურიზმში „თავისუფალი დრო“ - ცნების ქვეშ?
9. რა შეიძლება იყოს ადამიანის გადაადგილების მიზანი მოგზაურობის დროს?
10. რა მნიშვნელობა აქვს ტურიზმში ტურისტული გადაადგილების დროის ჩარჩოს (საზღვრებს, ვადებს, ხანგრძლივობას)?
11. „ანაზღაურებადი საქმიანობის გაწევის შეუძლებლობა“ - რას ნიშნავს ეს ცნება ტურიზმში?
12. როგორ არის განმარტებული „ტურისტული საქმიანობა“ საქართველოს კანონში „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“?
13. რა არის ტურისტული პროდუქტი?

ახლა მოდით, შევამოწმოთ, რამდენად სწორი იყო თქვენი არჩევანი - გეპოვათ თქვენი ადგილი ტურისტული ბიზნესის ლაბირინთებში. რამდენად მყარია თქვენი საბაზო მომზადება ისეთ აუცილებელ სასკოლო დისციპლინებში, როგორცაა - საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

საქართველოში ორგუმბათიანი ტაძარია:	ბედიის მონასტერი	
	გურჯაანის ყველაწმინდა	
	ხოხის ტაძარი	
	ცაიშის მონასტერი	
სად არიან დასაფლავებული საქართველოს მეფეები: როსტომი, ანუ რუსტამი (ხოხრო-მირზა) ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი) და დავით II (იმამ-ყული ხანი)?	ქ. ყუმში - ირანი	
	ქ. ასტრახანში - რუსეთი	
	ქ. პეტერბურგში - რუსეთი	
	გელათში - საქართველო	
სად გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სად იქნა იგი თავდაპირველად დასაფლავებული?	განჯა - აზერბაიჯანი	
	ერევანი-სომხეთი	
	თეირანი- ირანი	
	თბილისი - საქართველო	
ლურჯი მონასტერი მდებარეობს:	თბილისში	
	ტიმოთეს უბანში	
	ცაგერში	
	კახეთში	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

საქართველოში ფართობით უდიდესი ტბაა:	ტაბაწყური	
	ჯანდარი	
	ფარავანი	
რომელია საქართველოს საზღვრებში უგრძესი მდინარე?	მტკვარი	
	ალაზანი	
	რიონი	
რომელია საქართველოში ყველაზე მაღალი მწვერვალი?	თეთნულდი	
	შხარა	
	მყინვარწვერი	
რომელია ყველაზე წყალუხვი მდინარე საქართველოში?	ჰოროხი	
	ალაზანი	
	რიონი	

შენ ალბათ უკვე იცი, რომ უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შესაბამისად, სემესტრის განმავლობაში, ორჯერ მოგიწევს გამოცდის ჩაბარება (შუალედური - სწავლების VII ან VIII კვირა და საბოლოო - XVI კვირა).

საგამოცდო ბილეთში შეტანილია 2 ტიპის საკითხები - ტესტი (სადაც დასმულია კითხვა და მოცემულია 4 პასუხი, რომელთაგან ერთი სწორია), თქვენი ამოცანაა მონიშნოთ სწორი პასუხი და/ან ღია კითხვები (სადაც დასმულ კითხვას თქვენ წერილობით უნდა გასცეთ მოკლე და ამომწურავი პასუხი); ტესტში სწორად გაცემული პასუხი იღებს შეფასებას 0.5 ან 1 ქულა, ხოლო ღია კითხვა - 3 და 5 ქულას (კითხვის სირთულის შესაბამისად მიმდინარე ეტაპის სიღაბუსის თანახმად!).

დაიმახსოვრე! ყოველ საგამოცდო ვარიანტში აუცილებლად იქნება როგორც 3 ქულიანი, ასევე 5 ქულიანი ღია კითხვა და ტესტის სხვადასხვა ოდენობა.

ტესტის ვარიანტი

(კარგად დაუკვირდი! დიდი ალბათობით, მათ საგამოცდო ბილეთში ნახავ!)
რამდენად გავიგეთ ის, რასაც გავცევით და რაც გავიმეორეთ!

კითხვა: რატომ მოგზაურობენ ადამიანები, როგორია სპეციალისტების განმარტება?	სიამოვნებისა და ბიზნესისათვის	
	დანაზოგების ხარჯვისათვის	
	საოცრებების მოსანახულებლად	
	ადამიანების გაცნობის მიზნით	
კითხვა: რატომ მოგზაურობენ ადამიანები, როგორია ამის შესახებ ტურისტების აზრი?	ახალი გარემოს შეგრძნება	
	ახალი კულტურის შემეცნება	
	დასვენება	
	ყველა პასუხი სწორეა	
კითხვა: ტურიზმი წარმოადგენს ინტეგრირებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ..	პოლიტიკურ შეხედულებებზე	
	მატერიალ.-სულიერ ცხოვრებაზე	
	დემოგრაფიულ ცვლილებებზე	
	ზოგად განათლებაზე	
კითხვა: რატომ ისვენებს ადამიანი?	დაგეგმოს კარიერული წინსვლა	
	აღიდგინოს შრომისუნარიანობა	
	აღიდგინოს სპორტული ფორმა	
	მოინახულოს უცხო ქვეყნები	
კითხვა: რა აიძულებს ადამიანს დატოვოს თავისი სახლი და წავიდეს სამოგზაუროდ?	ძლიერი ხმაური	
	მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა	
	მოუსვენარი ხასიათი	
	„მუდმივი ყოველდღიურობა“	

ღია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი - გამოავლინე ცოდნაც და უნარიც!

კითხვა: რაში ვლინდება ტურიზმის წინააღმდეგობრივი ბუნება?	
კითხვა: რა ფაქტორები განაპირობებს ბოლო წლებში მოგზაურობაზე მოთხოვნის გაზრდას?	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი - გამოავლინე ცოდნაც და უნარიც!

კითხვა: დაახასიათეთ ტურიზმი - როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობა	
კითხვა: დაახასიათეთ ტურიზმი - როგორც ეკონომიკური საქმიანობა	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

თბილისიდან ქუთაისში მიმავალი, აუცილებლად გაივლით ქალქებს - ზესტაფონი, მცხეთა, ხაშური; დაალაგეთ ისინი მოძრაობის მიმართულების შესაბამისად.

-----	-----	-----
-------	-------	-------

საქართველოს რუკა არაერთხელ გინახავს ალბათ, განუსაზღვრე დასახლებულ პუნქტებს - ველისციხე, სიონი, უფლისციხე ადმინისტრაციული რეგიონები (აღმოსავლეთი საქართველო).

-----	-----	-----
-------	-------	-------

საქართველოს რუკა არაერთხელ გინახავს ალბათ, განუსაზღვრე დასახლებულ პუნქტებს - ნოსირი, შოვი, საირმე ადმინისტრაციული რეგიონები (დასავლეთ საქართველო).

-----	-----	-----
-------	-------	-------

მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადებს განეკუთვნება: ფარავანი, არაგვი, ქსანი, თისელის ღელე, დვირულა, გუჯარეთის წყალი, ლეხურა

-----	-----	-----
-------	-------	-------

რომელი სახელმწიფოების დედაქალაქებია: ბრატისლავა, ტირანა, ვადუცი

-----	-----	-----
-------	-------	-------

მოდით ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.

	რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე ძირითადი!)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი

თავი მეორე - ტურიზმის განვითარების ისტორია

- პირველყოფილი ტურიზმი / პირველი მოგზაურები
- შუა საუკუნეები / დიდი აღმოჩენების ეპოქა
- მსოფლიო ტურიზმის განვითარება XVIII-XIX საუკუნეებში
- ტურიზმის ისტორიული ეტაპები XX საუკუნეში
- თანამედროვე ტურიზმი (XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი)

კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. რომელ საუკუნეში იმოგზაურა ჰეროდოტემ და რა დარჩა კაცობრიობას ამ მოგზაურობის შედეგად?
2. მასობრივი ტურიზმის სახეს ვინ ჩაუყარა საფუძველი?
3. ჩამოთვალეთ მიგრაციის მოტივები პირველყოფილ საზოგადოებაში
4. რა იცით პირველყოფილი კარტოგრაფიის შესახებ?
5. მოგზაურთა დასვენებისთვის რომის იმპერიის გზებზე რა ააშენეს და რომელ საუკუნეში?
6. რა იცით ძველი ჩინეთის კარტოგრაფიის შესახებ?
7. „ტურიზმის“ რომელი სახეები არსებობდა ძველ საბერძნეთში?
8. მოიყვანეთ მაგალითები „ტურიზმის“ ინდუსტრიის ჩასახვის შესახებ ძველ რომში.
9. ვინ იყო XIV საუკუნეში ყველაზე გამოჩენილი არაბი მოგზაური?
10. მე-18 საუკუნეში ყველაზე მეტი მოგზაურობა რომელი ქვეყნის მაცხოვრებლებმა განახორციელეს?
11. რა იცით „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ შესახებ?
12. ჩამოთვალეთ ტურიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები
13. ტურიზმის ინდუსტრიის მაღალი ტექნოლოგიების პერიოდად რომელი საუკუნის რომელი წლები ითვლება?
14. პირველი მოგზაურობა, რომელიც გახდა მომავალი „პაკეტ-ტურის“ პროტოტიპი, რომელ წელს და ვის მიერ იქნა ორგანიზებული?

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

სად მდებარეობს „მწვანე მონასტერი“?	ბორჯომის რაიონში სოფ. ჩითახევში	
	ხარაგაულის რაიონში სოფ. უბისაში	
	თელავის რაიონში სოფ. ბუშეტში	
	ახმეტის რაიონში სოფ. ზემო ალვანში	
1896 წელს, დავით სარაჯიშვილის დაფინანსებით თბილისელი არქიტექტორის, ალექსანდრე ოზეროვის პროექტით, აიგო პირველი ღვინის ქარხანა, დღეისათვის ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით სარგებლობს. სად მდებარეობს ის?	თბილისში, ვ.პეტრიაშვილის ქუჩაზე	
	თბილისში, ავჭალაში	
	თბილისში, თამარ მეფის გამზირზე	
	თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე	
რა აღმოაჩინეს არქეოლოგებმა ქვემო ქართლში, კერძოდ კი სოფელ შულავერთან მდებარე ე.წ. „ხრამის დიდ გორაზე“ რითაც მტკიცდება რომ საქართველო „ღვინის სამშობლოა“?	უძველესი ყურძნის წიპწები	
	უძველესი ღვინო	
	ღვინის სასმისები	
	უძველესი ვაზის ფესვები	
ქართული ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი — იუნესკოს სიაში შეიტანეს ...	2013 წელს	
	1999 წელს	
	2000 წელს	
	2019 წელს	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

რამდენი მდინარეა საქართველოში ?	26 000	
	10 000	
	15 000	
	6 000	
რამდენი ქვეყანა ესაზღვრება საქართველოს?	7	
	3	
	4	
	5	
რომელია საქართველოში ყველაზე მაღალი ჩამქრალი ვულკანი?	მცინვარწვერი	
	ყელის მთა	
	არხოტისთავი	
	პატარა აბული	
რომელი გამოქვაბული მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში საქართველოდან?	კრუბერის	
	ვარძიის	
	უფლისციხის	
	ნავენახევის	

ტესტი

კითხვა: ვის შეიძლება ვუწოდოთ „ტურისტული ბიზნესის ფუძემდებლები“?	ბერძნებს	
	რომაელებს	
	ფინიკიელებს	
	ეგვიპტელებს	
კითხვა: ძველ საბერძნეთში პირველი სასტუმროების „გაჩენა“ გამოიწვია ...	ოლიმპიურმა თამაშებმა	
	ქვეყნის საზღვრების გაფართოებამ	
	მოსავლის აღების პროცესმა	
	სამხედრო გამარჯვებებმა	
კითხვა: ვის ეკუთვნის „დიდი აბრეშუმის გზის“ ჩვენამდე მოღწეული პირველი აღწერა?	კლავდიუს პტოლემეს	
	რაჟან ციანს	
	ჰომეროსს	
	არისტოტელეს	
კითხვა: ვინ გამოსახა პირველად დედამიწა ქაღალდზე - კარტოგრაფიის „ფუძემდებელი“?	კლავდიუს პტოლემე	
	ერატოსთენე კირენელი	
	არისტოტელე	
	არისტარქ სომოსელი	
კითხვა: ვინ შექმნა პირველი გლობუსი?	რაჟან ციანმა	
	დიოგენმა	
	მარტინ ბერხაიმმა	
	ანაქსიმანდრე მილეთელმა	

ღია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: ჩამოთვალეთ მსოფლიო შვიდი საოცრება და მოკლედ აღწერეთ მათი ისტორია.	
კითხვა: „მათ პლანეტა დედამიწა ცნობადი გახადეს“. - მოიყვანეთ მაგალითები სულ მცირე 3 მაინც, და დაახასიათეთ ვინ შეიძლება იყვნენ ესენი?	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: შუა საუკუნეები / დიდი აღმოჩენების ეპოქამ როგორ შეუწყო ხელი ტურიზმის განვითარებას ? (დაასაბუთეთ არგუმენტებით)	
კითხვა: გადმოეცით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ტურიზმის განვითარების ეტაპები (მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე)	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

ზუგდიდიდან ქუთაისში მიმავალი, აუცილებლად გაივლით ქალქებს - აბაშა, ხობი, სენაკი; დაალაგეთ ისინი მოძრაობის მიმართულების შესაბამისად.

-----	-----	-----
-------	-------	-------

ჩაწერეთ - რომელი ქვეყნის დედაქალაქებია - ვალეტა, პოდგორიცე, სკოპიე

-----	-----	-----
-------	-------	-------

მონიშნეთ ის ტაძარი, რომელიც, ლეგენდის თანახმად, იმ ადგილზე აიგო, სადაც ქრისტეს ხელთუქმნელი კვართია დაკრძალული.

გელათი	სვეტიცხოველი	ალავერდი
--------	--------------	----------

ჩასვით პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების სახელი და გვარი სპორტის მოცემული სახეების შესაბამისად: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, თავისუფალი ჭიდაობა (მიუთითეთ წელი!)


-----	-----	-----
-------	-------	-------

მონიშნეთ, თბილისის რომელ მოედანს ერქვა „ერევნის“ მოედანი (სრული სახელი „პასკევიჩ-ერევანსკი“)

გმირთა მოედანს	ვარდების მოედანს	თავისუფლების მოედანს
----------------	------------------	----------------------

მოდიტ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.

	რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე ძირითადი!)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი

თავი მესამე - ტურიზმის არსი და მისი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები

- ტურიზმის არსის ახსნა
- ტურიზმის სტატისტიკური განსაზღვრება
- ტურიზმი როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა
- ტურიზმის ფუნქცია
- ტურიზმის კლასიფიკაცია

კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. როგორია ტერმინ „ტურიზმის“ მნიშვნელობა?
2. რა მიზეზები განაპირობებენ ტურიზმის ცნების მრავალი სახის განსაზღვრას?
3. ტურიზმის მრავალი განსაზღვრიდან აირჩიეთ ერთი, რომელიც უფრო სწორია თქვენი აზრით.
4. ჩამოთვალეთ ტურიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და კრიტერიუმები.
5. როგორაა განსაზღვრული ტურიზმის ცნება საქართველოს კანონმდებლობაში?
6. ჩამოთვალეთ ტურიზმის ძირითადი ფუნქციები და მათი რეალიზაციის გზები.
7. განსაზღვრეთ და დაასაბუთეთ ტურიზმისა და მოგზაურობის განმასხვავებელი ნიშნები.
8. განმარტეთ ტურიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა.
9. რა განსხვავებაა ტურისტულ და საექსკურსიო მოგზაურობებს შორის.
10. ტურიზმის რომელი სახეები და კატეგორიები იცით?
11. დაახასიათეთ ტურიზმის სახეები მოგზაურობების მიზნების მიხედვით.
12. რაში მდგომარეობს ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა?
13. რაში გამოიხატება ტურიზმის სოციალური მნიშვნელობა?
14. რა გავლენას ახდენს ტურიზმი მოსახლობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე?

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა — იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ამ დასახელებით შევიდა ქართული ანბანის სამი სახეობა — მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული:	2017 წელს	
	2000 წელს	
	20019 წელს	
	ჯერჯერობით არ შესულა	
2001 წელს ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს მიერ აღიარებული იქნა, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედეგად, ის შეიტანეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. რომელ წელს?	2008 წელს	
	2018 წელს	
	2000 წელს	
	2001 წელს	
ქართული ჭიდაობა, როგორც კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტობის ნიმუში და ქართული საზოგადოების კულტურული ერთიანობის საფუძველი შეტანილია UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში:	2018 წელს	
	2000 წელს	
	1997 წელს	
	2017 წელს	
2017 წელს ეთიოპიაში 150-ზე მეტი ქვეყანის წარმომადგენელი ფეხზე წამოდგარი ტაშს უკრავდა ნომინაციას სადაც განიხილებოდა საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი, ამ დღეს:	ქართული ანბანი შევიდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში	
	საქართველო მიიღეს ევროკავშირში	
	საქართველო შევიდა ნატოში	
	საქართველო გახდა მტო-ს წევრი	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანაზე უფრო დიდი ფართობი აქვს საქართველოს?	ჩეხეთი	
	ტაივანი	
	პანამა	
	უკრაინა	
მოსახლეობის რიცხვით რომელ ქვეყანას აღემატება საქართველო	ბელორუსს	
	ახლა ზელანდიას	
	ურუგვაის	
	თურქმენეთს	
რომელია საქართველოში ყველაზე დრმა ტბა?	რიწის ტბა	
	ყელის ტბა	
	ფარავნის ტბა	
	ტობავარჩხილეს ტბა	
მოსახლეობის რიცხვით საქართველოში რომელია მესამე ქალაქი	რუსთავი	
	ქუთაისი	
	თელავი	
	ბათუმი	

ტესტი

კითხვა: ვინ შექმნა პირველი ატლასი?	ჯეიმს კუკმა	
	ჰომეროსმა	
	არისტოტელემ	
	მერკატორმა	
კითხვა: ვინ შექმნა პირველი (10 ტომიანი) ტურისტული გზამკვლევი - „საბერძნეთის გზამკვლევი“?	ჰეროდოტემ	
	პაუსანიასმა	
	კლავდიუს პტოლემემ	
	მარტინ ბერხაიმმა	
კითხვა: შუასაუკუნეების ევროპაში ადამიანების ყველაზე დიდი გადაადგილებები მოხდა	სახელმწიფოების ჩამოყალიბების დროს	
	ჯვაროსნული ომების დროს	
	რომის იმპერიასთან ომების დროს	
	საგზაო ინფრასტრუქტურის გაფართოებისას	
კითხვა: როგორი მარშრუტით მოგზაურობას ითვალისწინებდა XV საუკუნეში შექმნილი პირველი „ტურისტული პაკეტი“?	რომი - წმინდა მიწა	
	რომი - ათენი	
	ვენეცია - წმინდა მიწა	
	რომი - ალექსანდრია	
კითხვა: რკინიგზით პირველ ტურისტულ გასეირნებას ორგანიზება გაუკეთა	თომას კუკმა	
	თომას ბენეტმა	
	ჯეიმს კუკმა	
	რობერტ სმარტმა	
კითხვა: რას წარმოადგენს ტურიზმი?	მოგზაურობას დასვენების მიზნით	
	ეკონომიკური საქმიანობის სახეს	
	ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების აღდგენის აქტიურ ფორმებს	
	ჩამოთვლილთაგან არცერთს	
კითხვა: ტურიზმის მიზნებია:	გაჯანსაღება, შემეცნება, რელიგიური	
	სატრანსპორტო, კომუნიკაციური	
	სამედიცინო, სადაზღვევო, ბიოლოგიური	
	პროფესიონალური, მუსიკალური	
კითხვა: რაში მდგომარეობს ტურისტული მოთხოვნილების სპეციფიკა?	„მომხმარებელი“ მუდმივად კმაყოფილია	
	„მომხმარებელი“ იძენს „საქონელს“	
	„მომხმარებელი“ აფასებს „საქონელს“	
	„მომხმარებელი“ მიჰყავთ „საქონელთან“	
კითხვა: როგორ განიხილება ტურიზმი სტატისტიკაში?	როგორც გადაადგილება ქვეყნის შიგნით	
	როგორც გადაადგილება ქვეყნის გარეთ	
	მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა	
	გადაადგილება სიამოვნების მიღებისათვის	

ღია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: რა იგულისხმება ტურიზმის სტატისტიკურ განსაზღვრებაში?	
კითხვა: როგორ გესმით ტურიზმის ძირითადი არსი?	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ტურიზმის ფუნქციები	
კითხვა: ჩამოაყალიბეთ ტურიზმის კლასიფიკაცია თქვენთვის ცნობილი ყველა ნიშნის მიხედვით	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

თბილისიდან წინოწმინდაში მიმავალი, აუცილებლად გაივლით ქალქებს - წალკა, მარნეული, თეთრი წყარო; დაალაგეთ ისინი მოძრაობის მიმართულების შესაბამისად.

-----	-----	-----
-------	-------	-------

ქუთაისიდან შოვში მიმავალი, გაივლით ქალქებს - ამბროლაური, ონი, ტყიბული; დაალაგეთ ისინი მოძრაობის მიმართულების შესაბამისად.

-----	-----	-----
-------	-------	-------

მდინარე რიონის მარცხენა შენაკადებს განეკუთვნებიან მდინარეები: ენგური, ლეკერეთი, ჩორჯოს წყალი, რიცეულა, ლეხიდარი, კრიხულა, ნამისღელე

-----	-----	-----
-------	-------	-------

სად დგას ქ. თბილისში ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ძეგლი (მონიშნე სწორი პასუხი)

ი.ჭავჭავაძის გამზ.	დ.გურამიშვილის გამზ.	ა. წერეთლის გამზ.
--------------------	----------------------	-------------------

რომელი ქვეყნის დედაქალაქია ბელგრადი? (მონიშნე სწორი პასუხი)

მონტენეგროს	ხორვატიის	სერბეთის
-------------	-----------	----------

მოდიტ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.

	რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე პირითადი!)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი - თავი მეოთხე - მოგზაურობა და ტურიზმი - ტურისტული ბიზნესი

ტურიზმში გამოყენებული ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატი

- ძირითადი ცნებების განმარტებები
- მოგზაურობა და ტურიზმი
- ტურისტი - როგორც ტურიზმის სუბიექტი

კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. ვინ არიან ტურისტები?
2. ვინ არიან ტურისტული საქმიანობისას ურთიერთმოქმედი სუბიექტები?
3. რას ნიშნავს ტურიზმში „ერთ ენაზე საუბარი“?
4. რა არის „დამატებითი ტურისტული მომსახურება“ კანონმდებლობის ენაზე?
5. რა არის „კლუბ-სასტუმრო“ კანონმდებლობის ენაზე?
6. რა არის „რეკრეაციული რესურსი“ კანონმდებლობის ენაზე?
7. რა არის „ბუნებრივი სამკურნალო რესურსები“ კანონმდებლობის ენაზე?
8. რა არის მოგზაურობა - ვინ არის მოგზაური?
9. ვინ არ არიან მოგზაურები მგზავრობის მიუხედავად?
10. რა არის ტურიზმი - ვინ არის ტურისტი?
11. ვინ არ არის ტურისტი?
12. რაში მდგომარეობს ტურიზმის ძირითადი თავისებურებები?
13. ვინ არის ტურისტი - როგორც ტურიზმის სუბიექტი?
14. ვინ არიან „საერთაშორისო ტურისტები“?
15. ვინ არ განეკუთვნებიან „საერთაშორისო ტურისტის“ კატეგორიას?
16. ვინ არის/არ არის „შიდა ტურისტი“?
17. ვინ არის „ექსკურსანტი“?

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

ანდრია პირველწოდებული საქართველოში შემოვიდა ტრაპიზონიდან „მეგრელთა სოფლიდან“. მან ერთ-ერთ მთაზე აღმართა რკინის ჯვარი, დღეს ამ მთას „რკინის ჯვარი“ ქვია, რომელ ნაკრძალში მდებარეობს იგი	ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში	
	ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში	
	ბაზანეურის ნაკრძალში	
	მარიამ ჯვრის ნაკრძალში	
ყოველი წლის 15 ივლისს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის შემოსვის მსოფლიო დღეს, ტარდება წირვა-ლოცვა და ხდება კვართის გადმოვრცხვა:	დადიანების მუზეუმიდან ზუგდიდის ვლადიკლავის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში	
	სვეტიცხოვლიდან ჯვრის მონასტერში	
	სვეტიცხოვლიდან ბოდბის წმ. ნინოს სახელობის მონასტერში	
	სიონიდან წმიდა სამების საკათედრო ტაძარში	
XI—XIII ს-ის უბველესი ადიშის, ლაბსყალდის და იენაშის ხელნაწერი ოთხთავები ინახება	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში	
	ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში	
	შ. ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში	
	ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში	
ქრისტეს მეცამეტე მოციქულის მატათას საფლავი არის	გონიოში	
	ციხისძირში - პეტრას ციხეზე	
	სიღნაღში	
	მცხეთაში	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან სად არის უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება:	მესტიის	
	ყაზბეგის	
	ადიგენის	
	ახმეტის	
სად მდებარეობს თბოელექტროსადგური „თბილსრესი“	თბილისში	
	გარდაბანში	
	ზაჰესში	
	მცხეთაში	
რომელი ალკვეთილი არ მდებარეობს კახეთის ტერიტორიაზე	ყორულის ალკვეთილი	
	ჭაჭუნას ალკვეთილი	
	ივრის ალკვეთილი	
	ილტოს ალკვეთილი	
რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?	ლიახვი	
	სუფსა	
	იორი	
	ალაზანი	

ტესტი

კითხვა: მოგზაურობა - ეს არის ადამიანის გადაადგილება ...	დროსა და სივრცეში	
	მაგისტრალების გასწვრივ	
	საზღვაო ტრანსპორტით	
	ერთი მიმართულებით	
კითხვა: მოგზაურობისაგან განსხვავებით, ტურიზმი არის ადამიანთა გადაადგილება	დროსა და სივრცეში	
	დროის მოკლე მონაკვეთში	
	ერთი მიმართულებით	
	მაგისტრალების გასწვრივ	
კითხვა: რა არის ტურისტული მოგზაურობა?	უცხო ქვეყნების მონახულება	
	მოგზაურობა ქვეყნის შიგნით და გარეთ	
	ტურისტის ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება	
	ტურიზმის ფორმა, რომლის აუცილებელი კომპონენტებია კვება, ღამის თევზა და ექსკურსია	
კითხვა: ტურისტული ინდუსტრია არის ...	ტურისტული რესურსების, ტურისტული მომსახურების სუბიექტების და ობიექტების ერთობლიობა	
	ტურისტების განთავსებისა და კვების სისტემების ერთობლიობა	
	ტურისტების განთავსებისა და ტრანსპორტირების სისტემების ერთობლიობა	
	ტურისტული მომსახურების ობიექტების ერთობლიობა	
კითხვა: შიდა ტურისტის კატეგორიას განეკუთვნებიან:	ტრანზიტული მოგზაურები	
	მომთაბარეები, ლტოლვილები და იძულებით ადგილმაცვარი პირები	
	თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები, რომლებიც არ ათევენ ღამეს ჩასვლის ადგილზე	
	ახალ ადგილზე ღამის გამთევვი დროებითი მნახველები	
კითხვა: „ექსკურსანტი“ არის:	ვიზიტორი, რომელიც მონახულების ადგილზე მხოლოდ 1 ღამეს ატარებს	
	ვიზიტორი, რომელიც იმყოფება მონახულების ადგილზე 24 საათზე ნაკლები დროით	
	ტრანზიტული მოგზაური 6 საათზე მეტი დროით	
	თვითორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მთებზე ასვლითაა დაკავებული	

დია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: რას ნიშნავს რეკრეაცია და რეკრეაციული რესურსები?	
კითხვა: განმარტეთ ტურისტული მარშრუტი და თქვენთვის ცნობილი ტურისტული მარშრუტის სახეები	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: ტურისტული რესურსის არსი, სახეები და მისი მნიშვნელობა ტურიზმში	
კითხვა: ტურისტული მომსახურება, ტურისტული პროდუქტი და ტური - განმარტეთ და მოიყვანეთ არგუმენტები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

ჩაწერეთ თანმიმდევრობით შემდეგი სახელმწიფოების დედაქალაქები: მოლდოვა, ბელარუსი, ბულგარეთი

-----	-----	-----
-------	-------	-------

რომელი ქვეყნების დედაქალაქებია (ჩაწერეთ თანმიმდევრობით) ლიუბლიანა, პოდგორიცა, სკოპიე?

-----	-----	-----
-------	-------	-------

სადაური იყო ცნობილი მოგზაური, „ვესტ ინდოეთის“ (ცენტრალური ამერიკა) აღმომჩენი ქრისტეფორე კოლუმბი? (შემოხაზე!)

პორტუგალიელი	იტალიელი	ესპანელი
--------------	----------	----------

სად არის დაკრძალული საქართველოს უკანასკნელი მეფე ერეკლე მეორე?

თელავი	ალავერდი	მცხეთა
--------	----------	--------

ჩაწერეთ თანმიმდევრობით საქართველოს ეთნოკულტურული მხარეების შესატყვისი დღევანდელი მუნიციპალური ერთეულები: თორი, ოდიში, ფხოვი.

-----	-----	-----
-------	-------	-------

მოდით ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.



რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე ბირითადი!)



რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)



რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)



რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი

თავი მეხუთე - ტურისტული პოტენციალი და ტურიზმის მრავალსახეობა

5.1 საერთაშორისო ტურიზმი

5.2 შიდა ტურიზმი

5.3 კულტურა - ხელოვნება

5.4 ბუნება და სოფელი

5.5 რომანტიკა - ადრენალინი

კითხვები განვლილი მასალის გამოვლენისთვის

1. როგორ განიმარტება „საერთაშორისო ტურიზმი“ და რა გზა გაიარა ამ განმარტების ჩამოყალიბების ისტორიამ?
2. რას ნიშნავს „საერთაშორისო ტურიზმის“ თანამედროვე გაგება - როგორ განიმარტება ის ჰააგის დეკლარაციის თანახმად?
3. რას გულისხმობს საერთაშორისო ტურიზმის ცნება სტატისტიკაში?
4. ჰააგის დეკლარაცია განმარტებასთან „უცხოელი ტურისტი“ მიმართებაში?
5. რას ნიშნავს „შიდა ტურიზმი“?
6. როგორ განმარტავს ცნებას „შიდა ტურიზმი“ საქართველოს კანონმდებლობა?
7. რა არის ტურისტული რესურსი და რა როლს თამაშობს ტურიზმის განვითარებაში?
8. როგორ განმარტავს საქართველოს კანონმდებლობა ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ხასიათსა და ბუნებას?
9. რას წარმოადგენს კულტურული ტურიზმი და როგორია მისი ძირითადი მიმართულებები?
10. რა საფუძველზე ვითარდება მემკვიდრეობითი ტურიზმი და როგორია საერთაშორისო გამოცდილება?
11. დაახასიათეთ კულტურულ-შემეცნებითი (საექსკურსიო) ტურიზმი.
12. დაახასიათეთ ლიტერატურული, მუსიკალური, პოპ-კულტურის ტურიზმი.
13. რაში მდგომარეობს სამუზეუმო ტურიზმის თავისებურებები და როგორია საერთაშორისო გამოცდილება?
14. დაახასიათეთ ეთნიკური და ღონისძიებებთან დაკავშირებული ტურიზმი.
15. რას მოიცავს ეკოლოგიური ტურიზმი, როგორია მისი თანამედროვე მნიშვნელობა?
16. რით განსხვავდება სასოფლო ტურიზმი აგროტურიზმისგან?
17. რით ემსგავსებიან ერთმანეთს აგროტურიზმი და სასოფლო ტურიზმი?
18. დაახასიათეთ გეოტურიზმი და ველური ბუნების ტურიზმი, „ბერდვოჩინგი“;
19. რა სახის ტურიზმია სათავგადასავლო ტურიზმი?
20. რა სახის ტურიზმია ექსტრემალური ტურიზმი?
21. დაახასიათეთ ჯუნგლი და კოსმოსური ტურიზმი
22. რა შინაარსი დევს ცნებაში „Overlanding“, როგორია მისი ტურისტული შინაარსი და საერთაშორისო გამოცდილება?
23. დაახასიათეთ ტურისტული მიმართულებები - დაივინგი და ტოლკინის ტურიზმი

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

საქართველოში რომელ ორ სოფელს აკავშირებს ერთმანეთთან 552 მეტრი სიგრძის, საფეხმავლო ხიდი?	ოტობაია- ორსანტიას	
	ბოგრემ-იფანს	
	ხალა-ჩაქვისთავს	
	ანაკლია - განმუხურს	
ჩამოთვლილთაგან რომელ ჰესს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი?	„ენგურჰესს“	
	„ხრამჰესს“	
	“ზაჰესს“	
	„ხადორი 1“-ს	
რა აერთიანებს ჩამოთვლილთაგანს: • კახური ჩურჩხელის დამზადების ტექნოლოგია; • კახური ქუდის დამზადების ტრადიციული მეთოდი; • კახური პურის (დედას პური) დამზადების ტექნოლოგია;	ტურისტებს შორის ყველაზე პოპულარულია	
	კახეთის სიმბოლოა	
	იუნესკოს საცდელ სიაშია შეტანილი	
	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი	
სად შეიძლება ნახოთ ქუაქანცალიას მოქანავე ლოდი, რომელიც სუსტი დაწოლის შემთხვევაშიც ირყევა და კაკუნის ხმას გამოსცემს?	წალენჯიხაში	
	მესტიაში	
	სურამში	
	წალვერში	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

რომელი დაცული ტერიტორია არ მდებარეობს აჭარის ტერიტორიაზე	ქობულეთის	
	კინტრიშის	
	მაჭახელას	
	ალგეთის	
რომელია „ალადასტურის“ ჯიშის ყურძნის გავრცელების მთავარი არეალი?	გურია	
	ქართლი	
	კახეთი	
	რაჭა	
რომელია „ოჯალეშის“ ჯიშის ყურძნის გავრცელების მთავარი არეალი?	გურია	
	სამეგრელო	
	იმერეთი	
	მცხეთა-მთიანეთი	
რომელ ადმინისტრაციულ რაიონს ეკუთვნის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია „ხევი“?	შიდა ქართლს	
	მცხეთა-მთიანეთს	
	იმერეთს	
	სამეგრელოს	

ტესტი

კითხვა: ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, ტურისტულ რესურსებს განეკუთვნება	საერთაშორისო მაგისტრალები და ავტობანები	
	კულტურული ობიექტები, რომლებიც ემსახურებიან ტურისტული მომსახურების დაკმაყოფილებას	
	სახელმწიფო მართვის ორგანოები	
	კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო ცენტრები	
კითხვა: ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რეკრეაციულ რესურსებს განეკუთვნება	ტურისტული სოფლები მდიდარი ეთნოკულტურით	
	ქვეყნის დედაქალაქის სამედიცინო ცენტრები	
	ბუნების ორგანო ან მოვლენა, რომელიც გამოიყენება ადამიანის გაჯანსაღებისათვის	
	ბუნებრივი მოვლენა ან ხედი, რომელიც მაღალი ესთეტიკურობით ხასიათდება	
კითხვა: კულტურული რესურსების გამოყენების მიხედვით კულტურული ტურიზმის კატეგორიას არ განეკუთვნება:	მემკვიდრეობითი ტურიზმი	
	არტ-ტურიზმი	
	შემეცნებითი ტურიზმი	
	ეკო ტურიზმი	
კითხვა: „ადექვატური ტურიზმის“ 4 პრინციპს არ განეკუთვნება:	ტერიტორიის რეგულარული დასუფთავება	
	ტერიტორიის მემკვიდრეობის დაცვაში მონაწილეობა	
	ტერიტორიის უნიკალობის ხაზგასმა	
	უნიკალური მემკვიდრეობისადმი სიამაყის გრძნობის აღძვრა	
კითხვა: სასოფლო ტურიზმის პროგრამის ჩარჩოებში შეთავაზებული სერვისები არ მოიცავენ ...	ტრადიციულ სასოფლო სახლებში ცხოვრებას	
	ეკო პროდუქტით კვებას	
	რაფტინგისა და დაივინგის პოპულარიზაციას	
	სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობას	
კითხვა: ეკო ტურიზმი არის ...	ტურიზმის პოპულარული ფორმა, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე	
	მდგრადი ტურიზმის ფორმა, რომელიც ფოკუსირებულია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მონახულებაზე	
	ტურიზმის სპეციფიკური ფორმა, რომელიც სწავლობს იხტო-ფაუნას	
	ტურიზმის პოპულარული ფორმა, რომელიც ვითარდება ურბანულ გარემოში	
კითხვა: „ბერდვოჩინგი“ ეს არის ტურიზმის სახეობა, რომელიც ახდენს ...	ბუნებაზე დაკვირვებას	
	მწვერვალებზე დაკვირვებას	
	ცხოველებზე დაკვირვებას	
	ფრინველებზე დაკვირვებას	

ღია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: რა არის „საერთაშორისო ტურიზმი“?	
კითხვა: დაახასიათეთ ჰაერის, წყლის და ხმელეთის ექსტრემალური ტურიზმის სახეები:	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: აგრო ტურიზმის არსი და საქართველოს რეგიონების დაახასიათება ამ სახეობის ტურიზმთან მიმართებაში	
კითხვა: ვინ არის და ვინ არ არის შიდა ტურისტი ქვეყნის შიგნით გადაადგილებული კატეგორიებიდან?	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

შემოხაზე სწორი პასუხი - რომელი ცხოველის ტყავი იყო „ოქროს საწმისი“?

ვეფხვის

ვერძის

ცხვრის

შემოხაზე სწორი პასუხი - რომელი რელიგიის წმინდა ქალაქია - მექა?

ქრისტიანული

ბუდისტური

მუსულმანური

შემოხაზე სწორი პასუხი - ამ მწერლებიდან რომელმა იმოგზაურა და აღწერა თავისი მოგზაურობა საქართველოში?

ჟიულ ვერნი

ალექსანდრე დიუმა

ჯეკ ლონდონი

შემოხაზე სწორი პასუხი - რომელი ზღვა არ არსებობს?

წითელი

ყვითელი

ლურჯი

შემოხაზე სწორი პასუხი - სად მდებარეობს მოქმედი ვულკანი (ჯერ-ჯერობით უკანასკნელი ამოფრქვევა 2020 წელს) ეტნა?


კ. სიცილიაზე

კ. კორსიკაზე

ნ-კ კამჩატკაზე

მოდით ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.

	რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე პირითადი!)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი

თავი მეხუთე - ტურისტული პოტენციალი და ტურიზმის მრავალსახეობა (გაგრძელება)

5.6 ჯანმრთელობის დაცვა

5.7 ისტორია-რელიგია

5.8 განათლება-ბიზნესი

5.9 ტურიზმის სხვა სახეები

კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. სამედიცინო ტურიზმის შინაარსი, ფორმები და განვითარების თანამედროვე მიმართულებები.
2. განმარტეთ გამაჯანსაღებელი და სტომატოლოგიური ტურიზმი შინაარსი
3. დაახასიათეთ სპორტული, ფეხით მოსიარულებითა და საცხენოსნო ტურიზმის ძირითადი ღირებულებები, საერთაშორისო პრაქტიკა.
4. დაახასიათეთ სამთო და სამთო-სათხილამურო ტურიზმის შინაარსი და განვითარების პრაქტიკა
5. დაახასიათეთ საწყალოსნო ტურიზმის შინაარსი და განვითარების პრაქტიკა
6. რას წარმოადგენს ტურიზმი შშმ პირებისათვის, საერთაშორისო პრაქტიკა
7. რას წარმოადგენს ისტორიული და არქეოლოგიური ტურიზმი - როგორია საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება?
8. მომლოცველობითი ტურიზმის ადგილი და როლი საერთაშორისო ტურიზმში
9. საერთაშორისო მასშტაბის კატასტროფები და მათი „ადგილი“ მსოფლიო ტურიზმში
10. დაახასიათეთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტურიზმი
11. საქმიანი ტურიზმი - როლი და ადგილი თანამედროვე მსოფლიო ტურიზმში
12. გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი - საერთაშორისო გამოცდილება და ადგილობრივი შესაძლებლობები
13. დაახასიათეთ ურბანული, მოხალისეების და რეცესიული ტურიზმი
14. რას წარმოადგენს კრეატიული (შემოქმედებითი) და ექსპერიმენტული ტურიზმი დღეისათვის?
15. დაახასიათეთ სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი
16. დაახასიათეთ საბავშვო, VIP და ეზოთერიკული ტურიზმი
17. რას წარმოადგენენ ე.წ. „კანონგარეშე“ ტურისტული მიმართულებები?

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

სად მდებარეობს ხიხანის ციხე?	ხულოში	
	თანეთში	
	კასპში	
	დედოფლისწყაროში	
სად მზადდება ყველაზე პოპულარული თიხის ჭურჭელი - ერთგვარი ტურისტული საქონელი?	შრომა — ზესტაფონი	
	მატანი - ახმეტა	
	ზინობიანი - ყვარელი	
	დამალა - ასპინძა	
რომელ მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ბევრეთის წმინდა თეკლას სახელობის დედათა მონასტერი?	მცხეთის	
	ყვარლის	
	გურჯაანის	
	ქარელის	
რა საერთო აქვს: გელათის მონასტერს, მოწამეთას და კისორეთის წმინდა გიორგის ეკლესიას?	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	
	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	
	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	
	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	

რამდენად ვიცით ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

საქართველოში ყველაზე დიდი წყალსაცავი (ფართობით) არის:	ჟინვალის	
	წალკის	
	სიონის	
	ჯვრის	
რომელი ქედი ყოფს საქართველოს აღმოსავლეთად და დასავლეთად?	ლიხის	
	ბზიფის	
	თრიალეთის	
	გომბორის	
რამდენი მხარეა საქართველოში?	10	
	15	
	12	
	20	
რომელი ტბაა საქართველოში კლდეზგავური წარმოშობის?	ფარავანის ტბა	
	რიწის ტბა	
	ყელიწმინდის ტბა	
	ლურჯი ტბა	

ტესტი

კითხვა: საქმიანი ტურიზმის მიმართულებებს არ მიეკუთვნება	ინდივიდუალური ტურიზმი	
	საკონგრესო მომსახურება	
	საგამოფენო მომსახურება	
	ინსენტივ ტურიზმი	
კითხვა: რა არის ურბანული ტურიზმი?	ტურისტული საქმიანობა წარმართებულ კომპანიაში	
	ეკო ტურიზმის ნაირსახეობა	
	ტურისტული საქმიანობა დიდ ქალაქებში	
	სათავგადასავლო ტურიზმის ნაირსახეობა	
კითხვა: „ბოლო შანსის ტურიზმი“ - ვის/რის „ბოლო შანსზე“ საუბარი	სეზონის ბოლო ჩართებული რეისის	
	საკრუიზე გემის სეზონის ბოლო მარშრუტის	
	მსოფლიოს უძველესი შვიდი საოცრების	
	სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი ადგილების	
კითხვა: დაივინგის 4 სახეობას არ განეკუთვნება:	რეკრეაციული დაივინგი	
	საზღვაო დაივინგი	
	სპორტული დაივინგი	
	ტექნიკური დაივინგი	
კითხვა: რა არის ტურიზმის სახეობა „ტრეკინგი“?	ავტოსტოპით მოგზაურობის მოყვარულთა მოგზაურობა	
	თხილამურებით დიდ დისტანციაზე მოგზაურობა	
	ფეხით მოსიარულეთა ტურიზმის ნაირსახეობა	
	სამკურნალო ტურიზმის ნაირსახეობა	
კითხვა: მომლოცველობითი ტურიზმი არის პილიგრიმების მოგზაურობა ...	შედარებით ხელშეუხებელ ბუნებაში	
	არაურბანულ სივრცეში	
	ძირითად მაგისტრალეზზე	
	წმინდა ადგილებში	

ღია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: რას ეწოდება ეზოტერიკული ტურიზმი და საქართველოში სად შეიძლება განვითარდეს იგი?	
კითხვა: რა საფუძველზე ვითარდება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი?	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: რა საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს რელიგიური ტურიზმის განვითარება საქართველოში?	
კითხვა: სამედიცინო ტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

შემოხაზე სწორი პასუხი - რომელია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი მთათა სისტემა?

ლიხის ქედი

ცივ-გომბორის ქედი

თრიალეთის ქედი

შემოხაზე სწორი პასუხი - რომელი მდინარის წყლით დაიწყო და დღემდე გრძელდება თბილისის ზღვის წყლით მომარაგება?

მტკვარი

არაგვი

იორი

შემოხაზე სწორი პასუხი - მითითებულ მეფეთაგან რომელი მეფობდა ყველაზე ადრეულ პერიოდში?

ვახტანგ გორგასალი

აშოტ კურაპალატი

გიორგი
ბრწყინვალე

შემოხაზე სწორი პასუხი - ბერძნული მითოლოგიის რომელმა გმირმა გაათავისუფლა კავკასიის მთებზე მიჯაჭვული პრომეთ?

აქილევსმა

ჰექტორმა

ჰერაკლემ

შემოხაზე სწორი პასუხი - რომელი სახემწიფო მდებარეობს იბერიის ნახევარკუნძულზე?

ესპანეთი

იტალია

საბერძნეთი

მოდით ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.

	რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე პირითადი!)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი

თავი მეექვსე - ტურიზმის მართვა/რეგულირება

6.1 საერთაშორისო ტურიზმი

- თანამედროვე ტურიზმის ძირითადი ტენდენციები
- საერთაშორისო ტურიზმის რეგიონალიზაცია, განვითარების მდგომარეობა და პროგნოზები
- ტურიზმის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები
- საერთაშორისო ტურისტული გამოფენები და ბაზრობები
 - ✓ ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღების ხერხები
 - ✓ ტურისტული გამოფენებისა და ბაზრობების მნახველთა ძირითადი ტიპები

კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმი როგორც სოციალ-ეკონომიკური სექტორი?
2. როგორია თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დინამიკა?
3. როგორია თანამედროვე ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები?
4. რას წარმოადგენს გლობალიზაციის ფაქტორი თანამედროვე ტურიზმში?
5. რას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმატიზაციის ფაქტორი თანამედროვე ტურიზმში?
6. რას წარმოადგენს ტექნოლოგიზაციის ფაქტორი თანამედროვე ტურიზმში?
7. დაახასიათეთ თანამედროვე ტურიზმის განვითარების მდგომარეობა რეგიონალური მასშტაბით.
8. რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმის თვალსაზრისით რეგიონი „ევროპა“?
9. რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმის თვალსაზრისით რეგიონი „ამერიკა“?
10. რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმის თვალსაზრისით რეგიონი „აზია და წყნარი ოკეანე“?
11. რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმის თვალსაზრისით რეგიონი „ახლო (შუა) აღმოსავლეთი“?
12. რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმის თვალსაზრისით რეგიონი „აფრიკა“?
13. როგორ შეიძლება დავახასიათოთ საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის თანამედროვე მდგომარეობა?
14. როგორ ხასიათდებიან და რას წარმოადგენენ ტურიზმის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები?
15. მტო, სტსა და თანამედროვე ტურიზმი.
16. რას წარმოადგენს ტურისტული ბაზარი-გამოფენა, როგორია საერთაშორისო პრაქტიკა?
17. რა უნდა ვიცოდეთ ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის ხერხებზე?
18. რას წარმოადგენენ ტურისტული ბაზრობებისა და გამოფენების მნახველები?

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

რომელ ფრინველთან არის დაკავშირებული თბილისის დაარსების ლეგენდა?	არწივი	
	მიმინო	
	ხოხობი	
	მტრედი	
რომელ წელს დამარცხდა ბრძოლაში პირველად 80 წელს მიტანებული ერეკლე II, რაც თბილისის გადაწვით დასრულდა.	1750 წელს	
	1795 წელს	
	1895 წელს	
	1860 წელს	
ამათგან რომელი არ იყო კახეთის 1660 წლის აჯანყების მეთაური?	ბიძინა ჩოლოყაშვილი	
	ზაზა ციციშვილი	
	შალვა ერისთავი	
	ელიზბარ ერისთავი	
ასტრახანში რომელი ქართველი მეფეა დაკრძალული ვახტანგ VI-ის გვერდით?	თეიმურაზ II	
	არჩილ II	
	ერეკლე I	
	გიორგი I	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

რომელი ტბა მდებარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე?	ტაბაწყური	
	ჯანდარი	
	ფარავანი	
	რიწა	
რომელია ხელოვნური წყალსაცავი?	ლისის ტბა	
	კუს ტბა	
	თბილისის ზღვა	
	ბაზალეთის ტბა	
საქართველოს რომელი მდინარე ჩადის მინგეჩაურის წყალსაცავში?	მდ. ხრამი	
	მდ. მტკვარი	
	მდ. შვიდეზა	
	მდ. დურუჯი	
რომელ ქვეყანაში იღებს სათავეს მდ. მტკვარი	საქართველო	
	სომხეთი	
	თურქეთი	
	აზერბაიჯანი	

ტესტი

კითხვა: ტურისტული ორგანიზაციების კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი ნიშნებით:	ყველა პასუხი სწორეა	
	ეროვნულ-ტერიტორიული	
	საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი	
	საქმიანობის სფეროს შესაბამისად	
კითხვა: ყველაზე დიდი და აღიარებული საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციაა -	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	
	ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭო	
	მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია	
	ტურისტული სააგენტოების მსოფლიო ფედერაცია	
კითხვა: როდის იქნა მიღებული მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის წესდება?	1915 წლის 20 სექტემბერს	
	1945 წლის 7 სექტემბერს	
	1970 წლის 27 იანვარს	
	1975 წლის 27 სექტემბერს	
კითხვა: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მასშტაბური პროექტი, რომელმაც საქართველოც მოიცვა?	მოგზაურობა დედამიწის გარშემო	
	დიდი აბრეშუმის გზა	
	არგონავტების გზა	
	წმინდა ნინოს გზა	
კითხვა: რა არ წარმოადგენს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიზანს?	დააჩქაროს და გააძლიეროს ტურიზმის მხარდაჭერა მშვიდობისათვის	
	დააჩქაროს და გააძლიეროს ტურიზმის მხარდაჭერა ურთიერთგაგებისათვის	
	დააჩქაროს ტურიზმის რეგიონული განვითარების გამოთანაბრების პროცესი	
	დააჩქაროს და გააძლიეროს ტურიზმის მხარდაჭერა ჯანმრთელობისათვის	
კითხვა: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციისათვის საერთაშორისო ტურისტულ რეგიონებს არ წარმოადგენს:	ამერიკა	
	ავსტრალია	
	აფრიკა	
	ევროპა	
კითხვა: დღევანდელი ტურისტული ბაზრის მახასიათებლები არ არის:	კომპანიების ფინანსური ინტერვენცია სახელმწიფოების ტურისტულ ბაზარზე	
	ტურისტული კომპანიების გაერთიანება ერთიანი საფასო პოლიტიკით	
	წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიების წარმოშობა	
	ავტომატიზაცია და გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა	

ღია კითხვა - 3 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: რას წარმოადგენს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (მტო)?	
კითხვა: რას წარმოადგენს ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ტურისტული რეგიონი „ევროპა“?	

ღია კითხვა - 5 ქულიანი ვარიანტი

კითხვა: როგორია თანამედროვე ტურიზმის განვითარების დინამიკა?	
კითხვა: რას წარმოადგენს თანამედროვე ტურიზმის ძირითადი მახასიათებლები?	

ზოგადი ინტელექტი - ის, რაც აუცილებლად გჭირდებათ ტურიზმში!

შემოხაზე სწორი პასუხი - ვინ არის ავტორი სკულპტურული კომპლექსისა, რომელიც აღმართულია თბილისში, თავისუფლების მოედანზე?

ელგუჯა ამაშუკელი	მერაბ ბერძენიშვილი	ზურაბ წერეთელი
------------------	--------------------	----------------

პირველი ქართველი სპორტსმენი ქალი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი?

ნინო დუმბაძე	ნინო სალუქვაძე	მაია ჩიბურდანიძე
--------------	----------------	------------------

ვინ იხსნა კოხტასთავის შეთქმულება თავისი საქციელით?

ცოტნე გაბაშვილმა	ცოტნე დადიანმა	ცოტნე ბაგრატიონმა
------------------	----------------	-------------------

საქართველოს რომელ მუნიციპალიტეტშია გრემის ციხე-სიმაგრე?

ყვარლის	ახმეტის	თელავის
---------	---------	---------

ვის უწოდა ვაჟა-ფშაველამ ქართველი ბაირონი?

ბესარიონ ბესიკს	ალექსანდრე ჭავჭავაძეს	ნიკოლოზ ბარათაშვილს
-----------------	-----------------------	---------------------

მოდიტ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება გამოვცადოთ ორი პოზიციის შესაბამისად:

1. როგორ ვიცნობთ ჩვენს დედაქალაქს;
2. როგორ ვიცნობთ დანარჩენ საქართველოს.

	რა შეგიძლია გვითხრა ამ ადგილის შესახებ (ჩაწერე პირითადი!)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

და კვლავ ჩვენი ვიზუალური მეხსიერება - როგორ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს და ზოგადად სამყაროს?

	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)
	რა იგი იმის შესახებ, რასაც ხედავ (ჩაწერე)

ნაწილი პირველი

თავი მეექვსე - ტურიზმის მართვა/რეგულირება

6.2 ეროვნულ/ნაციონალური ტურიზმი

- ტურიზმის ეროვნული ორგანიზაციები
- სახელმწიფო და ტურიზმის პოლიტიკა
- ტურიზმის მართვის სახელმწიფო სისტემა
- ლიცენზირება, სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია ტურიზმში
 - ✓ ლიცენზირება
 - ✓ სტანდარტიზაციის საფუძვლები ტურიზმში
 - ✓ სერტიფიკაცია ტურიზმში - ზოგადი დებულებები
- ტურიზმი ადგილობრივ (რეგიონულ/მუნიციპალურ) დონეზე

კითხვები განვლილი მასალის გამეორებისთვის

1. რას წარმოადგენს და რა ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია?
2. რას წარმოადგენს და რა ფუნქციებს ასრულებს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო?
3. რა ტიპის და რომელი სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობა ქართული ტურიზმის მართვაში?
4. რას წარმოადგენს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა?
5. რომელი განსაზღვრული სპეციფიკური ფაქტორების გავლენით ფორმირდება სახელმწიფო პოლიტიკა?
6. როგორი სახით ყალიბდებიან ტურიზმის განვითარების მიზნები?
7. რა ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფო ტურიზმის პოლიტიკის ფორმირებისა რეალიზაციის ჩარჩოებში?
8. რა შინაარსი დევს ფუნქციაში „კოორდინაცია“?
9. რა შინაარსი დევს ფუნქციაში „დაგეგმვა“?
10. რა შინაარსი დევს ფუნქციაში „რეგულირება“?
11. რა შინაარსი დევს ფუნქციაში „ეროვნული ტურისტული პროდუქტის მარკეტინგი“?
12. როგორ განისაზღვრება ქვეყნის ტურისტული იმიჯი?
13. რა შინაარსი დევს ფუნქციაში „სტიმულირება“?
14. რა შინაარსი დევს ფუნქციაში - სოციალური ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა?
15. რა ასპექტებში იხილება ტურისტული პოლიტიკა სახელმწიფოთა ხასიათის მიხედვით?
16. რა მნიშვნელოვან შემადგენლებს მოიცავს ტურიზმის პოლიტიკა?
17. როგორია ტურიზმის მართვის მოდელების საერთაშორისო გამოცდილება?
18. რა განეკუთვნება ტურიზმის სფეროში სახელმწიფო მართვის ორგანოს ძირითად ფუნქციებს?
19. როგორია ტურიზმის სფეროში სახელმწიფო მართვის საერთაშორისო პრაქტიკა?
20. რას წარმოადგენს ლიცენზირების ამოცანა ტურიზმში?
21. რას წარმოადგენს სტანდარტიზაციის ამოცანა ტურიზმში?
22. რას წარმოადგენს სერტიფიკაციის ამოცანა ტურიზმში?
23. როგორ იგეგმება ტურიზმის განვითარება ადგილობრივ (რეგიონული/მუნიციპალური) დონეზე?

გვახსოვს თუ არა საქართველოს ისტორია?

ვინ იყო დავით აღმაშენებლის მასწავლებელი/აღმზრდელი, ვინც ასევე უდიდესი როლი ითამაშა საეკლესიო რეფორმაში (რუის-ურბნისის კრება)?	სვიმონ ჭყონდიდელი	
	გიორგი ჭყონდიდელი	
	ანტონ ჭყონდიდელი	
	არსენ ჭყონდიდელი	
აქ მითითებული ბაგრატიონებიდან რომელი არ არის წმინდანად შერაცხული ქართული ეკლესიის მიერ?	დემეტრე I	
	დემეტრე II	
	ლუარსაბ II	
	ქეთევან წამებული	
რომელ ქართველ მეფეზე თქვა ფრიდრიხ II (დიდი): „დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში ის“?	დავით აღმაშენებელი	
	გიორგი ბრწყინვალე	
	ერეკლე II	
	გიორგი II	
ვინ შექმნა ქართული ენის პირველი ლექსიკონი „სიტყვის კონა“?	იაკობ გოგებაშვილმა	
	სულხან-საბა ორბელიანმა	
	ვახუშტი ბაგრატიონმა	
	გიორგი ჭყონდიდელმა	

რამდენად ვიცთ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფია?

რომელი მდინარე ასაზრდოებს სიონის წყალსაცავს?	მდ. ფშავის არაგვი	
	მდ. ხევსურეთის არაგვი	
	მდ. იორი	
	მდ. ქუსნო	
რომელია კავკასიონის ქედზე უმაღლესი მწვერვალი?	შხარა	
	იალბუზი	
	მყინვარწვერი	
	ტიბტენგენი	
რომელ სასარგებლო წიაღისეულს მოიპოვებდნენ ტყვარჩელში?	ქვანახშირს	
	მურა ნახშირს	
	მარგანეცს	
	მოლიბდენს	
ამათგან რომელ კურორტზე არ არის მინერალური წყალი?	საირმე	
	ნაბელავი	
	სურამი	
	ბორჯომი	

ტესტი

კითხვა: რა დონეზე არ ფორმირდება ტურიზმის პოლიტიკა?	კონტინენტურ დონეზე	
	სახელმწიფო დონეზე	
	რეგიონულ დონეზე	
	საწარმოთა დონეზე	
კითხვა: ქვეყნის ტურიზმის პოლიტიკის მაფორმირებელ ფაქტორებს არ განეკუთვნება	ბუნებრივი რესურსები	
	მაგისტრალების საინჟინრო უზრუნველყოფა	
	სატრანსპორტო პირობები	
	ტურიზმის განვითარების სამართლებრივი პირობები	
კითხვა: ტურისტული ბაზრის განვითარებით დაინტერესებული ქვეყნების მიზნებს არ განეკუთვნება:	ტურისტული ქსელის საიმედოობის ამაღლება	
	არსებული ტურისტული პოტენციალის ეფექტური გამოყენება	
	ტურისტული კომპანიების რაოდენობის ზრდა	
	რეკლამის სფეროს ინტენსიური განვითარება	
კითხვა: ტურიზმის პოლიტიკის ფართოდ გაგებულ სახელმწიფო ფუნქციებს არ განეკუთვნება:	კოორდინაცია	
	დაგეგმვა	
	ტურ-კომპანიების ინტერესების დაცვა	
	ტურ-კომპანიების პირდაპირი დაფინანსება	
